დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლა
საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები;

ტარიელ კალანდაძე; ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მალხაზ შატბერაშვილი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გოგი ლატარია; საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზურაბ ურიადმყოფელი; უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლედი კუთხაშვილი; ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ტაბუცაძე; ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნიკოლოზ ჩუბინიძე; სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირაკლი ქობალია; მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მიხეილ გაფრინდაშვილი; სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ლანა კუჭავა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**248053760**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი საციხური**
ფაქტობრივი მისამართი	**ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი საციხური**
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khusatsikhuri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 71 23 59 / 591 71 23 59

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000382604, 31/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 04 და 05 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	სახელმწიფო ენა	ხულოს რაიონი, სოფელი საციხური, ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	სახელმწიფო ენა	ხულოს რაიონი, სოფელი საციხური, ერთი შენობა-ნაგებობა

3	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	სახელმწიფო ენა	ხულოს რაიონი, სოფელი საციხური, ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 31 მარტის MES 6 26 0000382604 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. 2026 წლის 04 და 05 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლაში. (მისამართი; ხულოს რაიონი, სოფელი საციხური) ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამართა ერთი ონლაინ-შეხვედრა, რომელზეც შეთანხმდა შეფასების მიდგომები და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძნებით (N 01/09/67 04 მაისი 2026 წ.) დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში. ვიზიტის პროცესში შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის ტერიტორიის შემოღობვა უნდა მოხდეს - 19.05.2026 წ. - 21.12.2028 წელს.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი განთავსებული იყო სკოლის დირექტორის კაბინეტში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორინგი განთავსდეს ისეთ სივრცეში, სადაც წვდომა მონიტორზე ექნება მხოლოდ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს 15 06.2026 წ. - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორის განთავსება ცალკე სივრცეში.
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლა საკუთარი სახსრებით აპირებს ადაპტირებული შემოსასვლელის -პანდუსის დამონტაჟებას, რისთვისაც აზომვითი ნახაზები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია აქვს მზად. სკოლა გეგმავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ. გვერდზე ტენდერის გამოცხადებას. სკოლა ასევე გეგმავს ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს 15.06.2026 წ. - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით

		გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სკოლას მიეცა რჩევა,** სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ შესაბამისობაში მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ აქტივობებთან. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დოკუმენტურად ასახოს, რომელი სხდომის ოქმით შემუშავდა და დადმკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

	და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	
ინდიკატორი 1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესულების შედეგების ანალიზის ფორმა, რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს შეაფასებს და შემდგომი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ დროებით ხელშეკრულება გაუფორმა სტატუსის არ მქონე პედაგოგს. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ ხელახლა გამოაცხადოს ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე.
ინდიკატორი 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	**სკოლას ასევე მიეცა რჩევა**, რომ შექმნას და ბრძანებით განსაზღვროს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის მიზნობრივი ჯგუფი.
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	**სკოლას მიეცა რჩევა:** საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის შეიმუშავოს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“

ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი გასწორდეს რეალურ მოცემულობასთან. **(იხილეთ ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი გამოაკრას შესაბამის სივრცეებში.
ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	**სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან
ინდიკატორი N 3. 6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დაადგენს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მკაფიო წესს.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*

ინდიკატორი N 4. 2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ინკლუზიური განათლების სამოქმედ გეგმა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი/საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, ყველა კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სკოლის სახელწოდება. **ესთეტიკური აღზრდა** - სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I–IX კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები დაზუსტდეს, რადგან ამ ეტაპზე ისინი ზოგადი ხასიათისაა. მათი დაკონკრეტება ხელს შეუწყობს კურიკულუმის უფრო მკაფიო დაგეგმვასა და სამიზნე ცნებებთან კავშირის უკეთ წარმოჩენას. **მათემატიკა** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი ფორმატის კურიკულუმი ყველა საფეხურზე, ითანამშრომლონ კათედრის წევრებმა და წარმოადგინონ ერთი ფორმატის კურიკულუმი სადაც მოცემული იქნება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულები დაწყებით საფეხურზე გვაქვს პირველი და მეორე კლასის კლასკომპლექტი, სასურველია სკოლამ კლასკომპლექტის შესაბამისი კურიკულუმი წარმოადგინოს. **სპორტი** - სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება და

		შესაბამის თემაში დეტალურად გაიწეროს ის საკითხები, რომელთა შესასწავლად საჭირო რესურსები (ინვენტარი) სკოლას გააჩნია. ასევე, მიზანშეწონილია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემ ატოს თემა „მძლეოსნობა“. ამასთან, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და არსებული ინვენტარის გათვალისწინებით, ყველა კლასში დამუშავდეს თემა „მაგიდის ჩოგბურთი“. **უცხო ენა** - სასურველია კურიკულუმში, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედეგები სათანადოდ იყოს განვრცობილი (ინგლისური ენის კურიკულუმებში მე-2, მე-3, მე-10, მე-11 კლასები). ასევე, სასურველია საბაზო საფეხურზე (მე-7, მე-8, მე-10 კლასები), სკოლამ, საშუალო საფეხურის ნაცვლად, შეიტანოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). ასევე, რუსული ენის კურიკულუმში (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს საბაზო სფეხურის გრძელვადიანი მიზნებით (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები) დაწყებითი საფეხურის ნაცვლად. სასურველია შემოქმედებითი დავალების პირობები, უფრო ვრცლად იყოს გაწერილი (ინგლისური ენა მე-2, მე-3, მე-4, მე-10, მე-11 კლასები), რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის დავალება. ასევე, რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულმში სასურველია დაიგეგმოს შემოქმედებითი აქტივობები.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური - სასურველია, პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. სასურველია, კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: მითითებული იყოს ელექტრონული რესურსების ბმულები
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, კურიკულუმებში წარმოდენილი იყოს სამიზნე ცნებებთან ერთად შესაბამისი ქვეცნებებიც სასურველია, საგან „ისტორიის“ მე-11 კლასის და საგან „საქართველოს ისტორიის“ მე-11 კლასის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - **წყარო.** **სპორტი** - სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ). **ესთეტიკური აღზრდა - II კლასის კურიკულუმში სასურველია ყველა თემის ფარგლებში დაკონკრეტდეს საკითხები და მიეთითოს „მაგალითები შედარებისთვის“. ასევე, სასურველია, სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი კურიკულუმების**

		მსგავსად, შესაბამისობაში მოიყვანოს III და IX კლასების კურიკულუმებიც.
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა** - სასურველია, სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების თითოეულ თემაში აისახოს ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში იქნება გამოყენებული. ასევე, მიზანშეწონილია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა. სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ზოგადი სიტყვიერი მითითების სახით, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულებიც. **სპორტი** - სასურველია, სკოლამ როგორც მიმდინარე სასწავლო წელს, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, იზრუნოს სპორტული ინვენტარის შეძენასა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. **უცხო ენა** - სკოლამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის იმ ფორმით მომზადება, რომ დამატებითი ელექტრონული ლინკების გახსნა იყოს შესაძლებელი.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ტექნოლოგიები** - სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის სასურველია, რომ ტექნოლოგიების საგნის შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების მომზადებისას, სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს დიფერენცირებული და ინკლუზიური

		მიდგომების ასახვას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებების უკეთ გათვალისწინებასა და სასწავლო შედეგების ეფექტურად მიღწევას
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**უცხო ენა** - სასურველია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელ შეფასების, რუბრიკები დაეფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მისაღწევი შედეგები), ხოლო კრიტერიუმებად განისაზღვროს თუ როგორია მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ თემატურ მასალასთან მიმართებაში (გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი საშუალებები და სხვა). შეფასების რუბრიკები შეესაბამებოდეს კურიკულუმით გათვალისწინებულ კონკრეტულ თემებსა და შემოქმედებით დავალებებს. **მათემატიკა** - სასურველია სკოლამ იმუშაოდ და დახვეწოს სამიზნე ცნებები გაითვალისწინოს სამიზნე ცნებები შეფასების რუბრიკების შედგენისას.
2.2.1.1.	1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, საგან „ისტორიის“ მე-12 კლასის კურიკულუმში აისახოს საგნობრივი სტადარტით გათვალისწინებული მხოლოდ სავალდებულო თემები (“ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“) და ამ თემების შესაბამისი საკითხები, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.

		სასურველია, საგან „გეოგრაფიის“ მე-12 კლასის კურუკულუმს დაემატოს შემოქმედებით დავალების იდეის გრაფა, როგორც სხვა კურიკულუმებშია წარმოდგენილი, რათა უფრო ზუსტად აისახოს მასში საგნობრივი სტანდარტის შინაარსი. **ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, სკოლამ სისტემურად დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული პროექტები და შემოქმედებითი დავალებები, ასევე უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების დოკუმენტირება, რათა შესაძლებელი იყოს კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება და მონიტორინგი.**
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, საგან „მე და საზოგადოების“ მე-4 კლასის განმავითარებელ შეფასების რუბრიკაში მოცემული თემის სახელწოდება შეიცვალოს „მე და ჩემი ქვეყნით“, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. **ესთეტიკური აღზრდა** - V კლასის ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის შეფასების რუბრიკაში მიზანშეწონილია განისაზღვროს, როგორ კონვერტირდება რუბრიკით გათვალისწინებული 5-ქულიანი შეფასება 10-ქულიან სისტემაში. ასევე, თითოეული კრიტერიუმის მიმართებით დასაზუსტებელია, რა შემთხვევაში ენიჭება მოსწავლეს 1 ან 2 ქულა 10-ქულიანი შეფასების სისტემის ფარგლებში. • სასურველია, სამივე საფეხურზე, როგორც მუსიკაში, ისე სახვით და გამოყენებით ხელოვნებ

		სასურველია შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მკაფიო და მარტივად აღსაქმელი ფორმით. ასევე, მიზანშეწონილია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებითა და ქულათა გრადაციით, რაც შეფასების პროცესს უფრო გასაგებს, სანდოს, ობიექტურსა და შედეგებზე ორიენტირებულს გახდის. **უცხო ენა** - შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობი სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობი უზრუნველსაყოფად, სკოლამ სასურველია შეიმუშაოს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკები გაცნობის პრაქტიკა. ასევე შეფასების კრიტერიუმები დააფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, რომ ბუნების კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები და დამხმარე ინერნეტ-რესურსების მოქმედი ლინკები . **უცხო ენა** - სასურველია სკოლამ უნდა შეიმუშაოს რესურსების შერჩევის ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის

		სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; კათედრის სხდომის ოქმს, უნდა ერთვოდეს დანართი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება შერჩეული რესურსები, მათ შორის ელექტრონული.
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფათვალისწინებით	**ესთეტიკიური აღზრდა - სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად - უზრუნველყოს ვიდეომასალის ჩვენებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობაც, რაც გააფართოებს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს ისეთი თემების სრულფასოვან შესწავლას, როგორიცაა „მუსიკა მუნჯ კინოში", „მუსიკა ხმოვან კინოში" და სხვა ვიზუალურ-მუსიკალური მასალის ანალიზზე დაფუძნებული საკითხები.**
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	**ზოგადი** - სასურველია სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისი პროცედურების დაცვით მოახდინოს კვალიფიციური კადრის შერჩევა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შეუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფის ბრძანება (N 01/09/52. 20 თებერვალი, 2026 წელი), რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნულ ჯგუფს 2026 წლის 02 მარტს უნდა შეემუშავებინა სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტები მისია, ხედვა, ღირებულებების სახით. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (21 თებერვალი, 2026 წელი) რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეიმუშავა და სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებული - პედაგოგიურ საბჭოზე ოქმით N 1 – 08.09.2025 წელი) სადაც ჩაშენებულია სკოლის მისიისა და ხედვის ამსახველი ნარატივი. წარმოდგენილი დოკუმენტით **სკოლის მისიაა;** „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ და ტოლერანტ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელისშეწყობა.“ ხედვა თანხვედრაშია მისიასთან.
სკოლის ფილოსოფია - მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს.
ინდიკატორის (1.1.1.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მტკიცებულებად წარმოდგენილი მისიითა და ხედვით განსაზღვრულია სკოლის როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო კულტურული სივრცე. სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლა ხელს უწყობს

განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის შექმნა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლის ღირებულებებს წარმოადგენს თანამშრომლობა, გამჭვირვალობა და გუნდური მუშაობა, რომელიც სასკოლო საზოგადოებისათვის ქმნის ღირებულ გარემოს. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება საკუთარ თავს განიხილავს, როგორც უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანებით (N 01/09/52. 20 თებერვალი, 2026 წელი) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევის ამსახველი მასალები (კითხვარი, პრეზენტაციები) და აღნიშნული ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი N 1, (2026 წლის 21თებერვალი) , რომელიც ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო საზოგადოების კვლევა, შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი აქტივობები.

ინდიკატორის (1.1.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების მხიედვით მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ქრონოლოგიურ შეუსაბამობაშია. სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მიზნით ჯგუფი შეიქმნა და დამტკიცდა 20 თებერვალს.

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 1, 21 თებერვალი, 2026 წ.) აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა კვლევის შედეგად შედგენილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით კი დასტურდება, რომ აღნიშნული ნარატივი უკვე შედგენილია 2025 წლის სექტემბერში. (სასკოლო სასწავლო გეგმით, პედაგოგიური საბჭოს ოქმები.) **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები მოიყვანოს ქრონოლოგიურ შესაბამისობაში.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით. სკოლაში ვიზიტისას დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის - მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის (1.1.1.5.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით N84/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ინდიკატორის (1.1.1.6.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი)
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი
- სკოლის სახელის მინიჭების ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშვებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დირექტორის ბრძანებით (N 01/09/76, 22.05.2026 წ.) დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.**

შესაბამისად, **ინდიკატორის (1.2.1.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 5 სექტემბერის სხდომაზე (ოქმი N 2) დამტკიცებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (2024 – 2030 წწ). სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს და მიზნის მიღწევის გზებს. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ობიექტურ რეაგირებას SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილ სუსტ მხარეებზე, რაც ადასტურებს გეგმის რეალობასა და საჭიროებებთან შესაბამისობას. კერძოდ, სუსტ მხარეებში აღნიშნული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ბაზის საკითხები. დოკუნენტის შესწავლისას დადგინდა, დოკუმენტში ფორმულირებულია შესრულებული/განხორციელებული ამოცანები.

ინდიკატორის (1.2.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2025 -2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. სკოლამ ვერ წარმოადგინა ოქმი, რომლითაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმა იყო შეთანხმებული და განხილული პედაგოგიური საბჭოსთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სექტემბრის დასაწყისში პედსაბჭოს პირველ სხდომაზე განიხილოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დოკუმენტურად ასახოს, რომელი სხდომის ოქმით შემუშავდა და დადმკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა (2025 – 2026 წ.) გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.

ინდიკატორის (1.2.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. დოკუმენტში წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოირჩევა დეტალიზაციითა და მართვადობით. თითოეული ამოცანა ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, რომლებსაც მკაფიოდ აქვს განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები. ასევე, დადგენილია შესრულების ინდიკატორები, რაც მიღწევების გაზომვადობას უზრუნველყოფს.

ინდიკატორის (1.2.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშვებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დირექტორის ბრძანებით (N 01/09/76, 22.05.2026 წ.) დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.**

ინდიკატორის (1.2.2.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშვებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დირექტორის ბრძანებით (N 01/09/76, 22.05.2026 წ.) დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს** მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად, **ინდიკატორის (1.2.2.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მზაობა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში.

ინდიკატორის (1.2.2.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების შემდგომ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის (1.2.2.4.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა და ბრძანება სკოლის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ - (N 01/09/65. 21.04.2026 წ. შეთანხმებულია 2026 წლის 21 აპრილს - MES 8 26 0000440151) რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი (1), ბიბლიოთეკარი (1) ექთანი (1) , დარაჯი-(2) ; დამლაგებელი-(2), წრის ხელმძღვანელი (1) სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2026 წლის 14 აპრილის, N 01-09/61 ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები", და თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლთა მიხედვითაც დადგენილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (N 01/09/54, 27თებერვალი 2026 წელი) დამტკიცებული დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თუმცა სტრუქტურული ერთეულებით განსაზღვრული ფუნქციები არ არის გათვალისწინებული ყველა თანამშრომლის მიმართ - ბიბლიოთეკარი, დარაჯი, საქმისმწარმოებელი, წრის ხელმძღვანელი.

ინდიკატორის (3.1.1.1) მოხოვნები შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N 01/09/54, 27თებერვალი 2026 წელი) და ,,თანამდებობრივი ინსტრუქციები" (ბრძანება N 01/09/60, 27 მარტი, 2026 წ.) წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულია მხოლოდ მასწვლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტში არის გაწერილი წახალისების მექანიზმები, მადლობა. სკოლაში ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები რეგულირდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორის (3.1.1.2) მოხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შენაგანაწესი
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტები; თანამდებობრივი ინსტრუქციების განსაზღვრის შესახებ და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს. შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო პროცესის რეგულირების ყველა მნიშვნელოვან საკითხს: სამუშაო დღის განრიგს, დასვენებისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ანაზღაურების წესებს, შვებულებასთან დაკავშირებულ პირობებს, შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს, მატერიალური პასუხისმგებლობის წესებს, განცხადებებისა და საჩივრების

განხილვის პროცედურებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების ნორმებს, ჩაცმულობის წესს და შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტები ერთობლივად უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის გამართულ, გამჭვირვალე და სამართლებრივად დაცულ სისტემას.

ინდიკატორის (3.1.2.1) მოხოვნები შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს, როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - ბრძანება N 01/09/54) სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. სკოლის შინაგანაწესის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს.

ინდიკატორის (3.1.2.2) მოხოვნები შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ თანამშრომელთა შერჩევის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის შერჩევა ხდება შიდა ან ღია კონკურსის წესით, გარდა სპეციალური მასწავლებლისა რომელიც პირდაპირ ღია კონკურსს გადის. შიდა კონკურსის შემთხვევაში არსებული ვაკანტური პოზიცია ივსება სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების საშუალებით. გარე კონკურსის შემთხვევაში კი სკოლა ვაკანტური პოზიციის განაცხადს შესაბამის საკვალიფიკაციო

მოთხოვნებთან ერთად აქვეყნებს საჯაროდ http:teachersjobs.ge -ზე და განცხადებების მიღების ვადად განისაზღვრება 5 (ხუთი) კალენდარული დღე. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია მინიმუმ ხუთი წევრისგან. მათ შორის: განათლების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. კომისიის წევრების კენჭისყრა ხდება ფარულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად. შედეგები აისახება სხდომის ოქმში. სკოლა ასევე ქმნის საპრეტენზიო კომისიას (დირექტორის ბრძანებით) კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით. სკოლაში დაცულია 2020 წლიდან დღემდე მიღებული ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი. საკონკურსო დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესში სკოლა იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს.

ინდიკატორის (3.1.2.3) მოხოვნები შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის დოკუმენტაციისა და EMIS-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია, როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებულია 19 პედაგოგი. მათ შორის 2 წამყვანი, 15 უფროსი, 1 მენტორი და ერთი პედაგოგი, რომელსაც არა აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. აღნიშნულ პედაგოგთან დადებულია ,,დროებითი" ხელშეკრულება. პედაგოგს არ აქვს 9 საათზე მეტი საგნობრივი დატვირთვა. სკოლის დირექტორითან გასაუბრებით და http:teachersjobs.ge - სკოლის პროფილის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისი წესის დაცვით გამოცხადებული ვაკანსია სასწავლო პროცესის დაწყებამდე და გამომდინარე იქედან, რომ ვაკანტურ პოზიციაზე არავინ გამოცხადდა, სკოლამ დროებით ხელშეკრულება გაუფორმა სტატუსის არ მქონე პედაგოგს. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ ხელახლა გამოაცხადოს ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე. დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა, რომ კადრების შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე, სადაც

მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამისათვის წინასწარ იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც თანამშრომლობითი და კოლეგიალობის პრონციპების საფუძველზე არჩევს შესაბამის კადრს. თითოეულის პირადი საქმე მოიცავს პროფესიული სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ასევე ცნობებს პროფესიული განვითარების კურსებსა და ტრენინგებში მონაწილეობაზე. დამატებით, პირად საქმეებში წარმოდგენილია ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ თანამშრომლებს არ აქვთ ნასამართლეობა და მათ მიმართ არ ფიქსირდება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები. საერთო ჯამში, შესწავლილი მასალები მიუთითებს, რომ სკოლის მიერ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიულად კვალიფიციური და სანდო კადრების არსებობას. **წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას არა აქვს განსაზღვრული საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება - დირექტორის ბრძანებით (N 01/09/77. 22.05.2026 წ.) დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც განსაზრულია საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

შესაბამისად, ინდიკატორის (3.1.2.4) მოხოვნები შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის სხდომები ტარდება რეგულარულად, რასაც ადასტურებს ყველა შესაბამისი ოქმები. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შეხვედრებზე განიხილება, როგორც სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საკითხები. სხდომებზე მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილებები, იგეგმება მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების ნაბიჯები და ხდება პასუხისმგებლობების დელეგირება. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებლები ერთმანეთის საქმიანობას აქტიურად ეცნობიან და ცვლიან პროფესიულ ხედვებს, რაც ხელს უწყობს გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და სწავლების მეთოდების დახვეწას.

ინდიკატორის (3.1.2.5) მოხოვნები შესაბამისობაშია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში თანამშრომელთა წახალისების პროცედურები გაწერილია შრომის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, რომელშიც წარმოდგენილია წახალისების სხვადასხვა ფორმა - მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფულადი წახალისება და სხვა მხარდაჭერის მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების შეფასებისა და მათი მოტივაციის ზრდისკენ. დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს თანამშრომელთა მიღწევების საჯარო დაფასების პრაქტიკას.

ინდიკატორის (3.1.2.6) მოხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი

- სკოლის საშტატო განრიგი
- ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით
- სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები
- eschool ბაზის მონაცემები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხს. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას. პერსონალის შეფასებისა და პროფესიული თანვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს ასევე განსაზღვრავს სკოლის შინაგანაერსი.

ინდიკატორის (3.2.1.1.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა პერსონალის საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ პერსონალის საჭიროებებს განიხილავენ ინდივიდუალურად, პედაგოგებისაგან და სხვა თანამშრომლებისაგან ღებულობენ საჭიროებების შესახებ ინფომრაციას და გეგმავენ შესაბამის რელევანტურ ინტერვენციებს, აქტივობებს, რაც გამოიხატა კონკრეტული ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებით. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სერთიფიკატებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგი, ვორქ-შოფები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია.

ინდიკატორის (3.2.1.2.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართულობა დადასტურებულია პირადი საქმეებით, სადაც ინახება შესაბამისი სერთიფიკატები გავლილი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს სისტემატურად ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგებში.
ინდიკატორის (3.2.1.3.) მოხოვნები შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დოკუმენტის თანახმად სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. კათედრის წევრები არიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო, რითაც შეგვლიძლია დავასკვნათ, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არ გაუჭირდება.
ინდიკატორის (3.2.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებში (შინაგანაწესში, პერსონალის მართვის პოლიტიკისა) დეტალურადაა გაწერილი წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციასა და საქმიანობის სისტემურ წარმართვას. დირექტორის განმარტებით სკოლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ადამიანური რესურსის განვითარებაა. პირადი საქმეებისა და სერტიფიკატების მიხედვით დადასტურებულია, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომელთა ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვანი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.
ინდიკატორის (3.2.1.5.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა შრომის ერთჯერადად წახალისების ფორმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას ახორციელებს შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტების შესაბამისად. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდა შემუშავებული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის ამსახველი და მარეგულირებელი დოკუმენტი. **სკოლას ასევე მიეცა რჩევა**, რომ შექმნას და ბრძანებით განსაზღვროს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის მიზნობრივი ჯგუფი.

ინდიკატორის (3.3.1.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ორგანიზაციული პროცესების მართვას ახორციელებს შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ მართვას. სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები დეტალურადაა ასახული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელშიც განსაზღვრულია მმართველობითი ფუნქციები, დირექტორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება. შინაგანაწესშიც გაწერილია საკადრო პროცესები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე მასწავლებლისა და დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინდიკატორის (3.3.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. შინაგანაწესის 22 მუხლით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები. (მუხლი 14, მუხლი 15) შესაბამისად, გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); საჭიროებების შემთხვევაში სკოლაში იქმნება სააპელაციო კომისია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორის (3.3.1.3.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში პერსონალის, მშობლებისა და კანონიერ წარმომადგენლების უფლებების დაცვა დოკუმენტურად უზრუნველყოფილია შინაგანაწესით, თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებებითა და მოსწავლეთა მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებების დაცვას და შესაძლო დარღვევების სამართლებრივად მართვას. მათ შორისაა თითოეული მხარის პასუხისმგებლობა, რეაგირების ვადები, ფორმალური კომუნიკაციის საშუალებები და შესაბამისი პროცედურები.

ინდიკატორის (3.3.1.4.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ მშობლებთან კომუნიკაციისთვის ხდება მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ, დროულ და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას. სკოლის თანამშრომლების ინფორმირებისთვის გამოიყენება ასევე მრავალმხრივი კომუნიკაციის სისტემა. პერსონალს ეძლევა ინფორმაცია, როგორც ოფიციალური ბრძანებებითა და სასკოლო დოკუმენტებით, ასევე შიდა ელექტრონული არხებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას, პროცესებში და საერთო ინფორმაციული ერთიანობის დაცვას. ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის დოკუმენტურად დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და რეაგირებაზე. ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა:** საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის შეიმუშავოს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უკუკავშირის მიღება და გაანალიზება.

ინდიკატორის (3.3.2.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტები (კათედრების სხდომის, სამეურვეო საბჭოს, პედ.საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმებით) და ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მართვის შიდა სისტემა დაფუძნებულია კოლეგიურ ორგანოებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მართვას. სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიცაა სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) და რომელიც განიხილავს, ითანხმებს და ამტკიცებს სკოლის მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს. დისციპლინურ გადაცდომებთან მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) არის დაკომპლექტებული. მოსწავლეთა თვითმმართველობას - მოსწავლეთა არჩევით ორგანოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში. შესაბამისად, მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია, სკოლაში მოქმედი კათედრები და პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მის პასუხისმგებლობის სფროში არსებულ საკითხებთან. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია თავისი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის ყველა წევრს აქვს აზრის, შენიშვნის თუ იდეის გაცემის შესაძლებლობა.

ინდიკატორის (3.3.2.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- კათედრის დებულება
- პედსაბჭოს პირველი სხდომის N 1 ოქმი
- პედსაბჭოს დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ერთ შენობაში. სკოლის საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა, საევაკუაციო გეგმებით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობლებით) და ცეცხლმაქრებით. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი - (ბრძანება N 01-04/05, 3 ნოემბერი, 2025 წ.) დირექტორის განმარტებით

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები, რომლებიც აკონტროლებენ უცხო პირთა გადაადგილებას და ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სათვალთვალო კამერები დაკავშირებულია ცენტრალური მონიტორის სისტემასთან, რომელიც დირექტორის კაბინეტშია განთავსებული. ვიდეო ჩანაწერები ინახება მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი ინციდენტის შემდგომი გადახედვის შესაძლებლობას. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერში საკუთრებაში უფიქსირდება 1068 კვ.მ. **აღსანიშნავია, რომ სკოლის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მხოლოდ ცენტრალური შემოსასვლელია შემოღობილი, დანარჩენი ტერიტორია არ არის შემოსაზღვრული, რის გამოც შესაძლოა არ იყოს დაცული ადმაინების უსაფრთხოება. შესაბამისად მნიშვნელოვანია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებამ შემოღობოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით მიხედვით (საკატასტრო კოდი - N 23.12.31.010) სკოლის სარგებლობაში ფიქსირდება 1068 კვ.მ. მიწი ფართობი. სკოლის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა, სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ საკატასტრო აზომვით ნახაზებშიც (ინდ. მეწარმე ვაჟა ბოლქვაძე, 2011 წელი) სკოლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთშიც ფიქსირდება მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა, (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 345 კვ,მ) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი სამსართულიანი შენობა-ნაგებობა და ერთი ერთსართულიანი ხის შენობა, რომელიც გამოიყენება,როგორც საქონლის სადგომი. აღნიშნული შენობები (მაღაზია, ცხოველის სადგომი) კერძო პირის საკუთრებაა. აღსანიშნავია, რომ სამსართულიან შენობაში გახსნილია მაღაზია, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს და ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ მოსწავლეები, სკოლის პერსონალი აღნიშნული მაღაზიით სარგებლობენ. სამსართულიან მაღაზიას, სკოლასა და ცხოველების სადგომს შორის მცირე დაშორებაა. შენობა-ნაგებობები არ არის გამიჯნული და შემოსაზღვრული სკოლის ძირითადი ადმინისტრაციული შენობისაგან. ასევე აღსანიშნავია,ხის კონსტრუქციის შენობა დგას ქვის საყრდენებზე, რის შედეგადაც შენობის ქვეშ ფორმირებულია ღია სივრცე, სადაც შესაძლებელია ადამიანის შეღწევა. აღნიშნული წარმოადგენს უსაფრთხოების რისკს და საჭიროებს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს. **სკოლის ტერიგორია არ შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ სასკოლო საზოგადოებისათვის.** სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. (მიწერილობა - MES 1 26 0000227502) გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01/09/53, 2026 წ.) სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ დასკვნა, რომელიც შეიცავს გარკვეულ ხარვეზებსა და რეკომენდაციებს. **სკოლას არ ჰაყვს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. გამომდინარე იქედან,რომ სკოლის ადმინისტრაციული შენობა არის ხის ნაგებობა და ყველა საკლასო თუ ადმინისტრაციულ**

ოთახში განლაგებულია ხის ღუმელები, მნიშვნელოვანია სკოლამ ბრძანებით განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიწერილობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში (24.02.2026 წ. - MES 7 26 0000214043) თუმცა სკოლას მოპოვებული არა აქვს შესაბამისი მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სკოლა წარმოების პროცესში ელოდება შესაბამისი სამსახურიდან დასკვნას შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს - 26.02.2026 - 26.02.2027 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ სკოლამ ბრძანებით (N 01/09/78. 22.05.2026 წ.) განსაზღვრა სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის ტერიტორიის შემოღობვა უნდა მოხდეს - 19.05.2026 წ. - 21.12.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება".

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი. სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომლის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი მოხმარების მედიკამენტები. კერძოდ, მაცივრი, სასწორი, სამედიცინო ტახტი, კარადები (მედიკამენტებისთვის და სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის), საკაცე, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება

მისაღებია სკოლის მოსწავლეებისთვისა და დასაქმებული პირებისათვის (სასკოლო საზოგადოებისთვის). სამედიცინო კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი. კაბინეტი მარაგდება გამდინარი წყლის სისტემით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას. ამავდროულად, სკოლის ექთანი აწარმოებს მოსწავლეთა ჰიგიენის მონიტორინგს, რომლის შედეგების საფუძველზე ხდება გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრა. **დოკუმენტაციის შესწავლის დროს დადასტურდა, რომ არ იყო წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, სამედიცინო ოთახში არ იყო გათვალისწინებული შირმა. შესაბამისად მნიშვნელოვანია,** რომ შეიმუშავოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა ინდიკატორის დამადასტურებელი მტკიცებულებები; სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლამ 2026 წლის 16 თებერვალს, გამოცხადებული ვაკანსიის საფუძველზე, სკოლამ სამუშაოზე აიყვანა ექთანი, რომელიც სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო კაბინეტი სრულად არის მოწყობილი დადგენილი სტანდარტების მიხედვით; კერძოდ, სივრცეში გათვალისწინებულია ხელოვნური ბარიერი (ე.წ. შირმა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.4.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას არ ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორთან ინტერვიუთი დგინდება, რომ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლის მიერ კლასის საათზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი მორიგე მასწავლებელბის და სკოლის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მორიგეობის განრიგი, მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებაზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს, დამრიგებელი დილით აკონტროლებს და აღწერს დაგვიანებულ მოსწავლეებს, უკავშირდება მოსწავლის ოჯახს, ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორი ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება N 01/09/48,16.02.2026) ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირსაც (დირექტორის), რომელიც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, რაც ხელს უწყობს თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სველი წერტილები არ არის ადაპტირებულია. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, პრივატული. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლის სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია 2 დამლაგებელი, რომელიც დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლის ინვენტარის დასუფთავება ხდება სკოლის ექთნის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით. სკოლის დამლაგებლები ასუფთავებენ სკოლაში არსებულ სასკოლო ინვენტარს საკლასო ოთახებში, სკოლის ეზოსა და სკოლის სველ წერილებს. შესაბამისი ნივთებით მომარაგებაზე ზრუნავს სკოლის დირექცია. სკოლაში არის სუფთა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორის (3.4.1.5) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 01/09/49, 16 თებერვალი, 2026 წ.) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებსა და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. **ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი განთავსებული იყო სკოლის დირექოტორის კაბინეტში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორინგი განთავსდეს ისეთ სივრცეში, სადაც წვდომა მონიტორზე ექნება მხოლოდ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს 15 06.2026 წ. - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორის განთავსება ცალკე სივრცეში.

ინდიკატორი 3.4.1.6. შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვიზიტის დროს ძირითადი დოკუმენტები და პერსონალური ინფორმაცია ინახებოდა დიორექტორისა და საქმეთა მმართველის კაბინეტში. პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომა აქვს მხოლოდ დირექტორს და დირექტორის ბრძნებით განსაზღვრულ პირს. (საქმისმწარმოებელს) მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. კარადა იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება პასუხისმგებელ პირთან. დაარქივებულ დოკუმენტები ინახება არქივში.

ინდიკატორის (3.4.1.7.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის მრჩეველთა საბჭო პასუხისმგებელია უსაფრთხოების მართვის სისტემური გაუმჯობესების პროცესზე. საბჭოში ჩართულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური სტრუქტურების ყველა ძირითადი რგოლი, რაც ამყარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მორიგეობის და მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს ინციდენტების ალბათობას და აუმჯობესებს კონტროლის ხარისხს.

ინდიკატორის (3.4.1.8.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
- ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
- შესაბამიოსობის უზრუნველყოფის გეგმა

- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები(დირექტორის ბრზანება 70(05.10.2023
- შენობა–ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვალს # 129673 მიართვა ,
- შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან 2026 წლის 23 იანვრის # 61117 მიმართვა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ერთ შენობაში. სკოლის შენობაში განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ (საკატასტრო კოდი - N 23.12.31.010) მიწის საერთო ფართი შეადგენს 1068.00 კვ.მეტრს. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს 1 შენობაში, რომელიც მდებარეობს სოფელ საციხურში. შენობა -

ნაგებობის საერთო ფართი - 345.61. თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერითა და აზომვითი ნახაზებით დასტურდება, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა (სკოლის შენობა ნაგებობა).

სკოლის შენობა არის ხის ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა. სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო თუ შემეცნებით აქტივობებში ჩართვა, შესვენებაზე კი სრულფასოვანი დასვენება. სასწავლო შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები; სკოლაში არის 11 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, დახურული სპორტული სივრცე, რომელსაც იყენებენ, როგორც სპორტულ დარბაზს, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი. აღსანიშნავია, რომ დახურული დარბაზი საჭირეობს რეაბილიტაციას. სკოლაში არ არის გათბობის ცენტრალური სისტემა. ყველა საკლასო ოთახებში დადგმულია ღუმელი.

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, რომელიც გათვალისწინებული 100 (ას) მოსწავლეზე. ამჟამად სკოლაში ირიცხება 29 (ოცდაცხრა) მოსწავლე.

ინდიკატორის (3.5.1.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც ადასტურებს, რომ ლაბორატორია საერთო სარგებლობის სივრცეა და ლაბორატორიაში განთავსებული რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, ეზო). სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (ფოიე) . ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. თუმცა ვიზუალური დათვალიერების დროს დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სარგებლობის წესები არ იყო გამოკრული არც კომპიუტერულ ლაბორატორიაში და არც ბიბლიოთეკაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი გამოაკრას შესაბამის სივრცეებში.

ინდიკატორის (3.5.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები,) რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (N 01/09/55 , თებერვალი, 2026 წ.) სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესსა და პირობებს.
ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მხიედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს - 19.05.2026 წ. - 10.09.2026 წ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ვიზიტის დროს სკოლაში იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლის შესასვლელში არ არის პანდუსი. სველი წერტილების მისასვლელი არ იყო ადაპტირებული. დირექტორთან და ბუღალტერთან ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლამ უკვე დაიწყო მუშაობა ადაპტირებული შემოსასვლელის-პანდუსის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. სკოლა საკუთარი სახსრებით აპირებს ადაპტირებული შემოსასვლელის -პანდუსის დამონტაჟებას, რისთვისაც აზომვითი ნახაზები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია აქვს მზად. სკოლა გეგმავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ. გვერდზე ტენდერის გამოცხადებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს 15.06.2026 წ. - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა უნდა განხორციელდეს - 15.06.2026 წ. - 10.09.2026 წ.
აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება“.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად იყენებენ ფოიესა და დახურულ სპორტულ დარბაზს. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით და დაფებით. მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა სტაციონარული და პერსონალური კომპიუტერის სახით. თუმცა ვიზუალური დათვალიერებით, დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის კომპიუტერული ტექნიკა საჭიროებს განახლებას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1 ფინანსური ანგარიშები ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები

2 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

3. ლაბორატორიებით სარგებლობის წესი

4. ამონაწერი რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

საციხურის საჯარო სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. სკოლას გააჩნია 10 ერთეული (ათი) კომპიუტერი, 3 ერთეული (სამი) ლეპტოპი, 3 ერთეული (სამი) პრინტერი, 2 (ორი) სკანერი. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა საჭიროებს განახლებას, იგი გამართულად მუშაობს, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, რომ ადმინისტრაციული პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად და სასწავლო პროცეში განხორციელდეს მრავალფეროვნად და სრულფასოვნად. სკოლაში არსებული ინტერნეტი გავრცელებულია სკოლის მთლიან შენობაში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტი.

ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დაადგენს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მკაფიო წესს.

ინდიკატორის (3.6.1.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგა
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N 01-09/56, 02 მარტი, 2026 წელი) დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესს. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით, საქმისწარმოება მოიცავს ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
ინდიკატორის (3.6.2.1.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლას აქვს ელექტრონული მაილი khusatsikhuri@mes.go.ge სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პესონალური მონაცემები. სკოლა იყენებს Office 365 -ის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც ტვირთავს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.
ინდიკატორის (3.6.2.2.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. იგი წარმოადგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ ინფორმაციას, რომლის დამუშავება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლების მიერ. სისტემაში ასახულია სკოლის, საგანმანათლებლო პროგრამების, სისტემაში ელექტრონულად მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორის (3.6.2.3.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლას აღნიშნული პროცესები აღწერილი/დარეგულირებული აქვს შიდა აქტებით, საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.

ინდიკატორის (3.6.2.4.) მოთხოვნები შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სრულყოფილი და მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც რეალურად ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს, დახურული ჯგუფებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებასან ინფორმაციის დროული მიწოდება. სკოლა ასევე იყენებს Teams-ის პლატპორმას, სკოლის განახლებადია. სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლის და საგნის პედაგოგების მხრიდან აქტიურად ხდება ღონისძიებების, საგაკვეთილო პროცესების, არაფორმალური განათლების(ექსკურსია,ლაშქრობები) ამსახველი ფოტო მასალების.
ინდიკატორი 3.6.3.1 შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ადმინისტრაციის განმარტებით საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. **ინდიკატორი 3.6.3.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს; ელექტრონულ პლატფორმებსა და პირისპირ შეხვედრებს. (ელექტრონული ფოსტა, სოციალურიქსელი, დახურული ჯგუფები, teams-ისპლატფორმა), საქმისმწარმებელი განმარტავს, რომ სკოლის ადმინისტრაცია აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და

კონკრეტულ შემთხვევებში ხდება ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირება დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 3.6.3.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ვიზიტის პროცესში სკოლის ვებ-გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას. გვერდზე სახელმწიფო ენაზე არის განთავსებული სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისი მასალები/მტკიცებულებები.

ინდიკატორი 3.6.3.4. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი;
მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
სკოლის ელექტრონული ფოსტა;
სკოლის სოციალური ქსელი
ელექტრონული ფოსტა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 (09.12.2025 წ.), რომელიც ეხება სკოლის

ბიუჯეტის დამტკიცებას. 2026 წლის ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. (სკოლამ მტკიცებუოლებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3, 09 დეკემბერი, 2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდაა გაწერილი თითოეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და გარანტიების უზრუნველყოფა. შინაგანაწესი ეფუძნება მოსწავლის ქცევის კოდექსს, რომელიც ხელს უწყობს სწავლისათვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული წესით, კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა უფლებები, მოსაზრებები და ინტერესები ყოველთვის გათვალისწინებული და მხარდაჭერილია. შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების გარანტიებს. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს, განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმებს, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს; სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი შეზღუდვის საფუძვლებს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებებს, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის დაცვასა და ანაზღაურების წესს; სამუშაო დროის ხანგრძლივობას, შესვენებისა და დასვენების დროს, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავ ჩამონათვალს, ეთიკის ნორმებს, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და სანქციების გამოყენების პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა საჩივრებისა და განხილვის განცხადების წესი. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა ,,მოსწაცვლეთა ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი 4.1.1.1. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, ყველასთვის ხელმისაწვდომ სივრცეში. კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლაში ახლადგადმოსულ მოსწავლეებს და მათ მშობლებს შინაგანაწესსა და სხვა შიდასასკოლო ნორმატიულ აქტებს, პერიოდულად უტარებენ საუბრებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თემაზე. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები ატარებენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ მშობლებს შინაგანაწესს, სკოლასა და მშობლებს შორის იდება ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. იმისათვის, რომ მშობელი იყოს დროულად ინფორმირებული მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ, დამრიგებელი და თითოეული საგნის მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ყოველდღიური გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგს. მშობლის ინფორმირება ხორციელდება მასწავლებლის/დამრიგებლის/დირექციის მხრიდან პირისპირ ან სოციალური ქსელის დახმარებით. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გასაჩივრების მექანიზმი - დისციპლინარული კომიტეტი.

ინდიკატორი 4.1.1.2. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც არის გამჭვირვალე; დაზუსტებულია მშობლის/მოსწავლის/სკოლის უფლებები და ვალდებულებები. გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი 4.1.1.3. შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთან კრების ოქმი
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს (ბრძანება N 01/09/71) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სკოლა ძირითადად მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; მოსწავლეთა მობილობა; საფეხურის დაძლევა. მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით დგინდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, რაც არ მოდის შესაბამისობაში ,, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან (ბრძანება N 71, 5 ოქტომბერი, 2023 წ).

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. ინტერვიუებით ასევე დასტირდება, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული

  ხელშეკრულება საფეხურის დაძლევის პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. (ბრძანება N 01/09/72) ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და ასევე, მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.
სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლის მიერ ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლისა და დამრიგებლის შესახებ. სკოლის პირველ დღეს სკოლაში ეწყობა ღონისძიება, რომელიც აღნიშნავს სასკოლო ცხოვრების დაწყებასა და პირველ კლასელთა მიღებას. პირველ დღეს ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. კლასის დამრიგებელი აცნობს თანაკლასელებს, სკოლის წესებსა და ზოგადად სასკოლო სივრცეს.

ინდიკატორი (4.2.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში (,,მოსწავლის ადაპტაციის წესი") გათვალისწინებულია მოსწავლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის ფაქტორები. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს კომფორტული შექმნას, რაც ადაპტაციის წინა პირობაა. ყველა საკლასო ოთახში თუ კლას-კაბინეტში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, საკლასო სივრცეები ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეს სრული წინა პირობა აქვს, ემოციურად მყუდრო გარემოში დაეუფლოს სხვადასხვა დისციპლინებს. დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი" ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა.

ინდიკატორი (4.2.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება"

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმაზომიერად იყენებს იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ.

ინდიკატორი (4.2.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება".

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.

სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.

ინდიკატორი (4.2.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სკოლაში არსებული სასკოლო კლუბები (ეკო-კლუბი „გირჩი“ მათემატიკის კლუბი „ნორჩი არითმეტიკოსი, სამოქალაქო განათლების კლუბი „ერთობა“. არაფომალური განათლების მიმართილებით აქტივობების ჩატარება სკოლაში მიმდინარეობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. სკოლა ყოველთვის მზადაა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი პროექტის მხარდასაჭერად.

ინდიკატორი (4.2.1.5.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან გეგმაზომიერად იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და მიღებული უკუკავშირის კვლევის საფუძველზე ცდილობს მომსახურების გაუმჯობესებას. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეების საჭიროებების მხარდასაჭერად.
ინდიკატორი (4.2.1.6.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პროექტები -
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით ხშირად ატარებს სხვადასხვა აქტივობებს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ხულოს პროფესიულ სასწავლებელთან - ,,ახალი ტალღა“
ინდიკატორი (4.2.2.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ინდიკატორი (4.2.2.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უკუკავშირს, რის შედეგად ხდება სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. სკოლა შეძლებისდაგვარად იკვლევს სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან, რომლის ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს ეფექტური სასწავლო პროცესის შესაქმნელად.

ინდიკატორი (4.2.2.3.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- კურიკულუმები დაწყებითი საბაზო და საშუალო

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის წერილი (MES 3 26 0000480305) და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლითაც მტკიცდება, რომ სკოლაში სსსმ საჭიროების მქონე ერთ მოსწავლეს მშობლის მოთხვონის საფუძველზე მოეხსნა სტატუსი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ითვლაისწინებს ისგ ჯგუფის შექმნას. სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასკოლო სასწავლოპ გეგმით აქვს განსაზღვრული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შექმნას ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი (4.2.3.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ-გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი, თუმცა აქვს ოთახი, რომელიც შეიძლება გმაოყენებული იქნას რესურს-ოთახად. სასკოლო სასწავლო

გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ.

ინდიკატორი (4.2.3.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით უზრუნველყოფას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი ტაბელები.

ინდიკატორი (4.2.4.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება, დირექტორის განმარტებით, მომავალში, ასეთის არსებობის დშემთხვევაში, მიმართული იქნება მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება.
ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ხელშეკრულების ნიმუშები
- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლი გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება**

	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებას აქვს და ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის მნიშვნელობას, მის კავშირს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს, კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს. იგი მოიცავს კურიკულუმის ძირითად კომპონენტებს, განვითარების პრინციპებსა და ეტაპებს, ასევე დაგეგმვის, დანერგვის, შეფასებისა და განახლების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, რისთვისაც სკოლა იყენებს არსებული გამოცდილებებისა და საზოგადოების უკუკავშირის ანალიზს. შედეგად, კურიკულუმის შექმნა ხდება ინკლუზიური და საჭიროებებზე მორგებული პროცესით. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობის, სკოლის საქმიანობისა და ვიზიტის დროს პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების განსაზღვრასა და მათ კურიკულუმში ასახვას. საგნობრივი კურიკულუმი დგება მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე ასაკობრივი დონისა და აკადემიური

უნარების გათვალისწინებით. სკოლაში დანერგილია და მასწავლებლები მშობლებისაგან იღებენ ზეპირ უკუკავშირს, ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი და სასაუბრო (Messenger), რომლის საშალებითაც ხდება მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენელისა და მასწავლებელის ინტერესების დადგენა, რაც აისახება საგნობრივ კურიკულუმში. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე აღინიშნა, რომ კურიკულუმის განხილვა და შემუშავება ხდება კათედრის სხდომაზე, კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას მშობლებს აცნობენ კურიკულუმს. ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი იქნა კათედრის სხდომისა და მშობელთა კრების ოქმები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, რაც გამოიხატება კლასის დამრიგებლების, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურ ჩართულობაში. კლასის დამრიგებლები აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს სასკოლო კურიკულუმის სიახლეების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის საბოლოო ვერსიას სკოლა განიხილავს კათერის სხდომებზე. კურიკულუმის მთავარი მიზანია მოსწავლეებში სწავლების სურვილის გაღრმავება და ღირებული ცოდნის გადაცემა. შესაბამისად, ის შედგენილია მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებითა და თემებით. სკოლის თითოეული საგნობრივი კურიკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ.

ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავება კოლაბორაციულ და ინკლუზიურ პროცესად არის ჩამოყალიბებული. პროცესში აქტიურად ერთვებიან საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭო, ასევე დირექცია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ გაკვეთილებსა და მოსწავლეთა შედეგებს, იყენებენ მიღებულ უკუკავშირს და ამის საფუძველზე ავითარებენ საგნობრივ წინადადებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმებს ქმნიან დაწყებითი კლასის მასწავლებლები შესაბამისად, სკოლის თითოეული მასწავლებელი ჩართულია კურიკულუმების შემუშავებაში. გაცნობა ხდება მშობელთა კრებაზე, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ

შეხვედრებზე. კოლეგების ურთიერთდახმარება და გამოცდილების გაზიარება უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმის ეფექტურად შექმნას. დაწყებითი კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო კურიკულუმს. თუმცა, კურიკულუმის გაცნობაში არ მოიაზრება კურიკულუმის დეტალური განხილვა. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა კათედრის სხდომისა და მშობელთა კრების ოქმები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები:

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი საფეხური)
3. სკოლის შინაგანაწესი
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი
5. მშობელთა კრების ოქმი
6. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
7. სკოლის დირექტორის ბრძანებ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
8. კათედრის სხდომის ოქმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით.ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს.რესურსების მრავალფეროვნება, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას მარტივად მოახერხონ სამიზნე მცნებებზე გასვლა **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კთედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული აუცილებელი თემები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილეულია** **რჩევა:** სასურველია, ყველა კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სკოლის სახელწოდება.	
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. თემები შერჩეულია უცხო ენების სტანდარტის საფუძველზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ჩანს იქიდანაც, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია შემოქმედებითი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს უცხო ენაში მიღებული ცოდნა მოარგოს და გადმოიტანოს რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად: საბაზოს საფეხურზე, რუსულ ენაში, სკოლას განხორციელებული აქვს შემოქმედებითი აქტივობა - ვიდეორგოლი ჩემი სკოლა, რომელშიც მოსწავლეები აღწერენ საკუთარი სკოლის ინფრასტრუქტურას (კლასებს, ბიბლიოთეკას, სპორტდარბაზს და სხვა), რისთვისაც იყენებენ ნასწავლ ენობრივ საშუალებებს **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.** **რჩევა** - - სასურველია კურიკულუმში, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედეგები სათანადოდ იყოს განვრცობილი (ინგლისური ენის კურიკულუმებში მე-2, მე-3,	

	მე-10, მე-11 კლასები). ასევე, სასურველია საბაზო საფეხურზე (მე-7, მე-8, მე-10 კლასები), სკოლამ, საშუალო საფეხურის ნაცვლად, შეიტანოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). ასევე, რუსული ენის კურიკულუმში (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს საბაზო სფეხურის გრძელვადიანი მიზნებით (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები) დაწყებითი საფეხურის ნაცვლად. სასურველია შემოქმედებითი დავალების პირობები, უფრო ვრცლად იყოს გაწერილი (ინგლისური ენა მე-2, მე-3, მე-4, მე-10, მე-11 კლასები), რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის დავალება. ასევე, რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულმში სასურველია დაიგეგმოს შემოქმედებითი აქტივობები.სასურველია	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლეზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი აღიქმება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და განვითარების თავისებურებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად. შუალედური მიზნების შესაფასებლად გამოყენებული დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ და განვითარების თავისებურებებს, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი და შემოქმედებითი აქტივობები, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესის ზრდას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და პროცესის ეფექტიან წარმართვას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო ღონისძიებაში, რაც დადებითად აისახება მათი შემოქმდებითი უნარებისა განვითარებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*** **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I–IX კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები დაზუსტდეს, რადგან ამ ეტაპზე ისინი ზოგადი	

	ხასიათისაა. მათი დაკონკრეტება ხელს შეუწყობს კურიკულუმის უფრო მკაფიო დაგეგმვასა და სამიზნე ცნებებთან კავშირის უკეთ წარმოჩენას.	
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებმი ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები და სასწავლო პრინციპები. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალებების გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. პედაგოგები ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, თითოეული საფეხურის სასწავლო შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მისაღწევად. პედაგოგები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ჩართულნი არიან საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სამივე საფეხურის კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ისე განსაზღვრონ საგნობრივი სწავლების მნიშვნელოვანი პრიორიტეტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	ის კურიკულუმები რაც მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა დაწყებით და საშუალო საფეხურზე ნამდვილად ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმში მოცემულია თემები საკითხები ცნებები და ქვეცნებები. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან.გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმიდან და ინტერვიუებიდანაც გამოიკვეთა რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ხშირად არის საჭირო კურიკულუმის ჩასწორება მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე.	

	საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები არის განსხვავებული ფორმატის ის სამიზნე რაც არის მათემატიკაში: მათ. მოდელი კანონზომიერება და ლოგიკა არაა მოცემული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი ფორმატის კურიკულუმი ყველა საფეხურზე, ითანამშრომლონ კათედრის წევრებმა და წარმოადგინონ ერთი ფორმატის კურიკულუმი სადაც მოცემული იქნება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულები დაწყებით საფეხურზე გვაქვს პირველი და მეორე კლასის კლასკომპლექტი, სასურველია სკოლამ კლასკომპლექტის შესაბამისი კურიკულუმი წარმოადგინოს.	
სპორტი	საციხურის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმში თემებში: სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება და შესაბამის თემაში დეტალურად გაიწეროს ის საკითხები, რომელთა შესასწავლად საჭირო რესურსები (ინვენტარი) სკოლას გააჩნია. ასევე, მიზანშეწონილია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „მძლეოსნობა“. ამასთან, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და არსებული ინვენტარის გათვალისწინებით, ყველა კლასში დამუშავდეს თემა „მაგიდის ჩოგბურთი“.	
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროგრამების განხილვამ აჩვენა, რომ მთელი პროცესი მოსწავლის ინტერესებზეა აგებული. მასწავლებლებთან გასაუბრებამ და სამუშაო გეგმების ანალიზმა დაადასტურა, რომ კურიკულუმში ჩართული კომპლექსური დავალებები პრაქტიკულია და კარგად ერგება თითოეული ბავშვის უნარებსა თუ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს	

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. სასურველია, კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: მითითებული იყოს ელექტრონული რესურსების ბმულები .	*ივსება მხო*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები დამუშავებულია სტანდარტების შესაბამისად.სამიზნე მცნებები დაქვემცნებები ჩამოყალიბებულია ლოგიკური ურთიერთ დაკავშირებით. რაც აღქმის და დამახსოვრების კარგი საფუძველია **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება; ჩვენ საქართველო; ისტორია; საქართველოს ისტორია; გეოგრაფია; მოქალაქეობა; პროექტი სამოქალაქო განათლებაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილეულია** **რჩევა:** - სასურველია, კურიკულუმებში წარმოდენილი იყოს სამიზნე ცნებებთან ერთად შესაბამისი ქვეცნებებიც სასურველია, საგან „ისტორიის“ მე-11 კლასის და საგან „საქართველოს ისტორიის“ მე-11 კლასის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - **წყარო.**	

უცხოური ენები	კურიკულუმში შეტანილი სასწავლო თემები და შემოქმდებითი დავალების პირობები შეესაბამება კონსტრუქტივისტულ სასწავლო მიდგომას. სასწავლო მიზნების სახით, კურიკულუმში მითითებულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამის თემატურ ბლოკებთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეს მიაღწიოს უცხო ენის, შესაბამისი საფეხურის სტანდარტებით გაწერილ მიზნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კურიკულუმში, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედეგები არ არის სათანადოდ განვრცობილი (კერძოდ: ინგლისური ენის კურიკულუმები მე-2, მე-3 კლასები). საჭიროა სტანდარით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და შედგები, კურიკულუმის თითოეულ თემასთან იყოს დაკონკრეტებული და განვრცობილი, რათა იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას თუ რომელი გრამატიკული, ლექსიკური, საკომუნიკაციო, ენობრივი ფორმები და საშუალებების გამოყენებას ისახავს მიზნად კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები. შემოქმედებითი დავალების პირობები, როგორც შუალედური მიზნები, ზოგიერთ კურიკულუმში საკმარისად არ არის აღწერილი და საჭიროა, რომ უფრო ვრცლად იყოს გაწერილი (კერძოდ ინგლისური ენა მე-2, მე-3, მე-4 კლასები), რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის დავალება. ასევე, რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულმში სასურველია დაიგეგმოს შემოქმედებითი აქტივობები. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**	
ესთეტიკური აღზრდა	**სკოლამ წარმოადგინა I, II, IV და VI კლასების შესწორებული კურიკულუმები, რომლებშიც გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაციები. კურიკულუმებში დაკონკრეტებულია შემოქმედებითი დავალებები, ასახულია სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები.** **რჩევა: II კლასის კურიკულუმში სასურველია ყველა თემის ფარგლებში დაკონკრეტდეს საკითხები და მიეთითოს „მაგალითები შედარებისთვის“. ასევე, სასურველია, სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი კურიკულუმების მსგავსად, შესაბამისობაში მოიყვანოს III და IX კლასების კურიკულუმებიც.**	

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, დავალების სასწავლო რესურსები (საშუალო საფეხურზე „საშინაო სკოლის“ ელექტრონული რესურსები), შერჩეული თემები, შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს, კონკრეტული იდეების, გადასაჭრელი პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. რამდენიმე დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული სასწავლო აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პედაგოგები აცნობიერებენ, რას ნიშნავს თითოეული საფეხურის სასწავლო შედეგებზე, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და მოსწავლეთა ნამუშევრების, - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზისას მიღებული შედეგებისა და მონაცემების საფუძველზე ცდილობენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებასა და რეალიზებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. თუმცა იგივე სამიზნე ცნებები 8 კლასში არ გვაქვს საბაზო საფეხურზე. კურიკულუმი სრულიად სხვა ფორმატითაა წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	

სპორტი	სკოლის კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).**	
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კათედრის გეგმა ზუსტად მიჰყვება ეროვნულ სტანდარტს. თემებისა და ცნებების ლოგიკური ბმა სწავლის პროცესს მოწესრიგებულს ხდის. სწორად დაგეგმილი შუალედური საფეხურები მოსწავლეს ეხმარება მთავარი მიზნის მიღწევაში, შერჩეული ინდიკატორები კი სრულად ასახავს იმ ამოცანებს, რაც თავიდანვე იყო განსაზღვრული **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები.	*ივსება მხო*

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საკმარისი რესურსები წარმოადგინეს როგორც ლიტერატურული ასევე ონლაინ რესურსები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო რესურსების სწორად შერჩევას. კურიკულუმში ასახული და კათედრაზე შეთანხმებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები, ხელს უწყობს სამიზნე ცნებების ეფექტიან დამუშავებას და მოსწავლეების მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმიდან გამომდინარეობს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს გრიფირებულ ან განათლების სამინისტროსთან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითად რესურს. ზოგიერთი კლასის კურიკულმში (მაგ: ინგლისური ენა მე-2-მე-4 კლასები) სკოლას სათანადო წესით უნდა ჰქონდეს მითითებული სახლემძღვანელოების დასახელება თავფურცელზე. სკოლას შერჩეული აქვს დამატებითი ელექტრონული რესურსები, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება სტანდარტის თემატურ ბლოკებს და მიზნებს. თუმცა, დამატებითი რესურსების ელექტრონული ლინკები ყველა შემთხვევაში არ იხსნება და არ	

	არის დაშვებული წვდომა (მაგ: ინგლისური ენა მე-6 კლასი) რამაც შეუძლებელი გახადა ზოგიერთი რესურსის გაცნობა. მთლიანობაში, კურიკულუმში შეტანილი რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.** **რჩევა** - სასურველია სკოლამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის იმ ფორმით მომზადება, რომ დამატებითი ელექტრონული ლინკების გახსნა იყოს შესაძლებელი.	
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად. კურიკულუმში ასახულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიურ და ჩართულობაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*** **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების თითოეულ თემაში აისახოს ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში იქნება გამოყენებული. ასევე, მიზანშეწონილია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა. სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ზოგადი სიტყვიერი მითითების სახით, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულებიც.	
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და აკადემიურ შესაძლებლობებს. შერჩეული სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და აკადემიური ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის ხელსაყრელ პირობებს. პრეზენტაციისას პედაგოგებმა წარმოადგინეს უფრო ფართო სპექტრი	

	იმ საგანმანათლებლო რესურსებისა, რომელთაც იყენებენ სხვადასხვა სახის პროექტებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალებების განსახორციელებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში გრიფმინიჭებულია. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რომ რთულია ინტერნეტის პრობლემის გამო ელექტრონული რესურსის მიწოდება ამიტომ ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმით განსაზღვრული თემების შესაბამისი სპორტული ინვენტარი, ასევე სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები ძირითადში უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სპორტული ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის სიმწირე აფერხებს ზოგიერთი თემის სრულფასოვან განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, სკოლამ როგორც მიმდინარე სასწავლო წელს, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, იზრუნოს სპორტული ინვენტარის შეძენასა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.	
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ფარგლებში, კათედრის მიერ ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების სისტემა მკაფიო და სტრუქტურირებულია. წარმოდგენილ დეტალურ პრეზენტაციებში ნათლად არის ნაჩვენები სწავლა-სწავლების მთელი დინამიკა, რომელიც უშუალოდ ამ კომპლექსურ დავალებებს ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ დავალებების პირობები სრულყოფილადაა დამუშავებული და მათში	

	გათვალისწინებულია ყველა ის აუცილებელი კრიტერიუმი, რაც სასწავლო პროცესის ხარისხს განსაზღვრავს. პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, კათედრამ ყურადღებით შეარჩია შესაბამისი დამხმარე მასალები და საგანმანათლებლო რესურსები. ეს ბაზა სრულად უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულმა მოსწავლემ, საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეძლოს კურიკულუმით დასახული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევა. საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი ინდიკატორები და შერჩეული მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია იმ მთავარ სასწავლო მიზნებთან, რაც დაწყებით საფეხურზეა განსაზღვრული **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილიდოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექურად მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყოველმხრივ მზად არიან,რომ სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური და გააზრებული და გათვალისწინებული აქვთ ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა რომელსაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესი **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	

საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას სამივე საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
უცხოური ენები	სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გამოხატავს მზაობას, აუცილებლობის შემთხვევაში, შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინკლუზიური განათლების მიღების საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომას, როგორც ვიზიტის დროს პედაგოგებმა განაცხადეს, კლასები მცირე ზომის არის, შესაბამისად მათ უადვილდებათ თითოეული მოსწავლისთვის სასწავლო მასალის ადაპტირება და საჭიროების შემთხვევაში აქტივობების მოდიფიცირება. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნას.**	
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და წარმოადგენს სწავლა-სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. დოკუმენტში წარმოდგენილია მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას.	

	სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ასევე, სასწავლო პროცესში დაგეგმილი აქტივობები, ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***	
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი მასალების მიხედვით შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. სკოლას გააზრებული აქვს ამ მეთოდიკური ორიენტირის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად. ასევე შექმნილი აქვთ მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკებიც, რომელშიც განსაზღვრულია და პრიორიტეტულია კონსტრუქტივიზმის, როგორც სასწავლო სტრატეგიის როლი მასწავლებელთა თვითგანვითარებისა და ზოგადად სასწავლო პროცესის გასავითარებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. სკოლა მოსწავლეებს ასევე სთვაზობს სხვადასვა საინტერესო აქტივობებს კლუბებს მათ შორისაა „არითმეტიკოსი“. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და	

	ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადება შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. ამასთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	მართალია, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარკვეულწილად არასრულია და მასში არ ფიქსირდება ყველა საჭირო მტკიცებულება (კერძოდ: ინდივიდუალური გეგმები, შეფასების მონაცემები თუ პედაგოგთა თვითრეფლექსია), თუმცა თავად ტექნოლოგიების კურიკულუმები მაღალ დონეზეა დამუშავებული. პროგრამაში მკაფიოდ ჩანს დასახული მიზნები, კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი სასწავლო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ დავალების პირობები მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლებას აძლევს, რაც პროექტების მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს. **რჩევა:** სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის სასურველია, რომ ტექნოლოგიების საგნის შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების მომზადებისას, სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების ასახვას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებების უკეთ გათვალისწინებასა და სასწავლო შედეგების ეფექტურად მიღწევას **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთასაჭიროებების გათვალისწინებით სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტისშე საქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან,და ისეა შემუშავებული, რომ ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის სრულფასოვნდ წარმართვას **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების	

	კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
უცხოური ენები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომლებიც ეფუძნება შეფასების რუბრიკებს. თუმცა უშუალოდ შესაფასებელი კრიტერიუმები და ინდიკატორები არის ზოგადი ხასიათის. საჭიროა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაეფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მისაღწევი შედეგები), ხოლო კრიტერიუმებად განისაზღვროს თუ როგორია მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ თემატურ მასალასთან მიმართებაში (გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი საშუალებები და სხვა). სკოლას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე რუბრიკა კლასების მიხედვით, თუმცა არც ერთი არ არის მორგებული კურიკულუმით გათვალისწინებულ რომელიმე შემოქდებით აქტივობას. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს უფრო კონკრეტული, კურიკულუმის აქტივობებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა** - სასურველია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელ შეფასების, რუბრიკები უნდა დაეფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მისაღწევი შედეგები), ხოლო კრიტერიუმებად განისაზღვროს თუ როგორია მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ თემატურ მასალასთან მიმართებაში (გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი საშუალებები და სხვა). შეფასების რუბრიკები უნდა შეესაბამებოდეს კურიკულუმით გათვალისწინებულ კონკრეტულ თემებსა და შემოქმედებით დავალებებს.	
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც	

	უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, განვითარების დინამიკის გამოვლენასა და შესაბამის მხარდაჭერას. სკოლაში შემუშავებულია დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის განკუთვნილი ზოგადი შეფასების რუბრიკები. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***	
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სამივე საფეხურის კათედრამ წარმოადგინა დავალებების შესაფასებლად გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების (დისკუსიის შეფასების რუბრიკა; ესეს შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების რუბრიკა; საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა; ურთიერთშეფასების რუბრიკა; წერითი დავალების შეფასების რუბრიკა; ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა.) სხვადასხვა ინსტრუმენტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	გადმოგზავნილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შფასებირ რუბრიკები. შფასების რუბრიკები არ არის შედგენილი ისე რომ გათვალისწინებული იყოს სამივე სამიზნე ცნება. უფრო აქვს ზოგადი ხაისიათი. სკოლამ წარმოდგინა შმაჯამებელი დავალიზის ანალიზის ფორმებიც რომელიც ასევე ზოგადი ხასიათის იყო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია სკოლამ იმუშაოდ და დახვეწოს სამიზნე ცნებები გაითვალისწინოს სამიზნე ცნებები შეფასების რუბრიკების შედგენისას.	

სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	სკოლაში გამოყენებული შეფასების რუბრიკები სრულად პასუხობს ეროვნულ სასწავლო გეგმას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა პირდაპირ კავშირშია იმ დიდ მიზნებთან, რომლებსაც მოსწავლეებმა სწავლის ბოლოს უნდა მიაღწიონ. სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას და სოლო ტაქსონომიას, რაც ეხმარება მოსწავლის ცოდნის სიღრმისეულად გაზომვასა და მის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. განმავითარებელი შეფასების რიბრიკები;
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
5. საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში სრულიად არის გათვალისწინებული სასკოლო კურიკულუმი თუმცა სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ამ ეტაპისათვის სკოლას მიღწეული აქვს შეთანხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან, სკოლაშიც უკვე გამოყოფილია შესაბამისი ფართი და 2026 – 2027 სასწავლო წლისათვის სკოლა უზრუნველყოფს მოთხოვნების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კეთილმოწყობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის თითქმის ყველა კურიკულუმუმსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას, საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა** - სასურველია, საგან „ისტორიის“ მე-12 კლასის კურიკულუმში აისახოს საგნობრივი სტადარტით გათვალისწინებული მხოლოდ სავალდებულო თემები (“ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“) და ამ თემების შესაბამისი საკითხები, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. სასურველია, საგან „გეოგრაფიის“ მე-12 კლასის კურუკულუმს დაემატოს შემოქმედებით დავალების იდეის გრაფა, როგორც სხვა კურიკულუმებშია წარმოდგენილი, რათა უფრო ზუსტად აისახოს მასში საგნობრივი სტანდარტის შინაარსი.	

უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მიჰყვება შემუშავებულ კურიკულუმებს. იფარება კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო თემატური ბლოკები და ხორციელდება კურიკულუმში შეტანილი შემოქმედებითი დავალებები, რომლის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
ესთეტიკური აღზრდა	**სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი ტექნიკური საშუალების ხელმისაწვდომობა, რაც 2026-2027 სასწავლო წლიდან შექმნის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისა და რესურსების უფრო სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას.** **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს** **რჩევა: სასურველია, სკოლამ სისტემურად დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული პროექტები და შემოქმედებითი დავალებები, ასევე უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების დოკუმენტირება, რათა შესაძლებელი იყოს კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება და მონიტორინგი.**	
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ეფუძნება სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სავალდებულო თემების, ქვესაკითხებისა და საკითხების გააზრებასა და გაცნობიერებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის რესურსი და სასწავლო აქტივობები. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს შემოქმედებითი დავალების სპეციფიკურ ასპექტებზე. საკუთარი პედაგოგიკური პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითებით ახსნეს და განმარტეს როგორ, რატომ უწყობს ხელს ამ ტიპის დავალებები მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას, მათ დაინტერესებასა და ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	

მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებაზე და ინტერესებზე სასწავლო პროცესი ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თნამედროვე მეთოდებსა მიდგომებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებთან შესაბამისობას, თუმცა სკოლაში არსებული სპორტული ინვენტარი ვერ ფარავს სრულად ყველა თემის პრაქტიკულ კომპონენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	სკოლაში მოქმედი შეფასების რუბრიკები სრულ თანხვედრაშია ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. არსებითია, რომ შეფასების მექანიზმები პირდაპირ ორიენტირებულია იმ გრძელვადიან მიზნებზე, რომლებსაც მოსწავლეები სწავლის დასრულებისას უნდა ფლობდნენ. განმავითარებელი შეფასებისა და სოლო ტაქსონომიის აქტიური გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლის ცოდნა სიღრმისეულად შეფასდეს და მისი წინსვლა მუდმივად იყოს კონტროლირებადი **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესში ხდება პედაგოგების მიერ სწავლის მეთოდებისა და რესურსების მორგება. მშობლებისა და მოსწავლეებისაგან მასწავლებლები იღებენ ზეპი უკუკავშირს უკუკავშირი, ამ მიზნით ასევე გამოყენებულია მესენჯერი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლეების წინარე ცოდნას, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო გზას. მოსწავლის წინარე ცოდნა განაპირობებს შინაგანა ძალების გააქტიურებას. კურიკულუმებში დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წინარე ცოდნის გამოყენებით დაამუშაონ მოცემული დავალება. სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს ახალი ცოდნის გადაცემა მოსწავლეებისთვის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ხდება გარემოს, კურიკულუმისა და რესურსების მოდიფიცირება, რათა ეფექტიანად მოხდეს გამოწვევებზე რეაგირება. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებას – კონკურსებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პედაგოგიური გუნდი საჭიროების შემთხვევაში ცვლის მიდგომებს, ქმნის ახალ გამოცდილებებს და ამით ამარტივებს სასწავლო პროცესს, რაც ნათლად აჩვენებს სკოლის ძალისხმევას ინდივიდუალური და კოლექტიური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა, აბსოლუტურად ვალიდურია, გამჭირვალე სანდო და ობიექტურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო	

	შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** - სასურველია, საგან „მე და საზოგადოების“ მე-4 კლასის განმავითარებელ შეფასების რუბრიკაში მოცემული თემის სახელწოდება შეიცვალოს „მე და ჩემი ქვეყნით“, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.	
უცხოური ენები	სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რისთვისაც გამოიყენება შეფასების რუბრიკები. სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კრიტერიუმად იყენებს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებს). თუმცა, აუცილებელია, წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამებოდეს კურიკულუმში დაგეგმილ საკითხებსა და შემოქმედებით დავალებებს. სკოლა მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად ასევე იყენებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, შესაბამისი ფორმების გამოყენებით. შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკების გაცნობის პრაქტიკა ასევე შეფასების კრიტერიუმები დააფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა** - სასურველია შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობი ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სკოლამ უნდა შეიმუშაოს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკების გაცნობის პრაქტიკა. ასევე შეფასების კრიტერიუმები დააფუძნოს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს.	

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე, ხოლო კრიტერიუმები და შეფასების დონეები უმეტეს შემთხვევაში ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. თუმცა, რიგ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო ნათელი, თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი იყოს. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*** **რჩევა:** • V კლასის ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის შეფასების რუბრიკაში მიზანშეწონილია განისაზღვროს, როგორ კონვერტირდება რუბრიკით გათვალისწინებული 5-ქულიანი შეფასება 10-ქულიან სისტემაში. ასევე, თითოეული კრიტერიუმის მიმართებით დასაზუსტებელია, რა შემთხვევაში ენიჭება მოსწავლეს 1 ან 2 ქულა 10-ქულიანი შეფასების სისტემის ფარგლებში. • სასურველია, სამივე საფეხურზე, როგორც მუსიკაში, ისე სახვით და გამოყენებით ხელოვნებ აში, შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მკაფიო და მარტივად აღსაქმელი ფორმით. ასევე, მიზანშეწონილია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებითა და ქულათა გრადაციით, რაც შეფასების პროცესს უფრო გასაგებს, სანდოს, ობიექტურსა და შედეგებზე ორიენტირებულს გახდის.	
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მოსწავლეები გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. დავალებებისთვის და მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებისთვის მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას უწყობს ხელს. პედაგოგები ცდილობენ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება გააუმჯობესონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის	

	განსასაზღვრად, მათი აკადემიური და შემოქმედებითი განვითარების პროცესის გასაანალიზებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**	
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველფოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ცოდნისა და უნარების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების რუბრიკები უმეტესად არის ზოგადი ხასიათის. შეფასება არის ვალიდური, სანდო **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა შეფასების სისტემისა და რუბრიკების სამომავლო განვითარების გეგმა. წარმოდგენილი აღწერილობა მოწმობს, რომ სისტემა იქნება ვალიდური და დაეფუძნება კონკრეტულ, გაზომვად შედეგებს. ვინაიდან შეფასების მექანიზმები კოლეგიური მუშაობის პროდუქტია, ისინი ხასიათდება ობიექტურობით და გარანტიას იძლევა, რომ მოსწავლეთა ცოდნა სამართლიანად შეფასდება **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. მექანიზმში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტები. ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, რათა შეფასება იყოს ვალიდური, ზუსტი და თანმიმდევრული, რომლებიც განაპირობებს მასწავლებლის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. შეფასების შედეგები მოწმდება სკოლის ადმინისტრაციისა და დაწყებითი კლასის კათედრების მიერ. სკოლაში პერიოდულად წარმოებს საგაკვეთილო მონიტორინგი, დასწრებისა და შეფასების სისტემის სიზუსტის შემოწმება, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სანდოობას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოვს დოკუმენტაციის შენახვას 3 წლის ვადით. სკოლის შეფასების დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები ინახება მატერიალურად დაარქივებულად. სკოლა იყენებდა მატერიალურ საკლასო ჟურნალს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ამჟამად, სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. სკოლის დოკუმენტაცია და მონაცემები ინახება eflow_ს ელექტრონულ პორტალზე.

სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა მოწესრიგებულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი მტკიცებულებების – შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ტიპის ნამუშევრებისა და სხვა მასალის – შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგების გამოცდილება და პრაქტიკა ამ პროცესში ადასტურებს, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების მონაცემების დაცვასა და სისტემურ აღრიცხვას. ელექტრონული სისტემის გამოყენება კი პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო შენახვასა და ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

მტკიცებულება:

1.საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი საფეხური);

2.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
3.სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025;
4.განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები;
5.შეფასების რუბრიკები;
6.განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
7.მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;
8.ვერიფიკაციის მექანიზმი;
9.სკოლის დირექტორის ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
10.მასწავლებელთა, მოსწავლეთა პირადი საქმეები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რსურსებს,აქვთ შერჩეული სალაბორატორიო სივრცეები რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტებს,ელოდებიან დამატებით ინვენტარს. ამ ეტაპისათვის სკოლას მიღწეული აქვს შეთანხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღწურვასთან დაკავშირებით, სკოლაში გამოყოფილია ფართი და 2026 – 2027 სასწავლო წლისათვის კეთილმოეწყობა სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. **ინდიკატორი არის შესაბამისობაში**	

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურები, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ელექტრონული რესურსები, საგნამანათლებლო ვიდეო ლინკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
ესთეტიკური აღზრდა	**სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი ტექნიკური საშუალების ხელმისაწვდომობა, რაც 2026-2027 სასწავლო წლიდან შექმნის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისა და რესურსების უფრო სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას.** **რჩევა: სასურველია, სკოლამ სისტემურად დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული პროექტები და შემოქმედებითი დავალებები, ასევე უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების დოკუმენტირება, რათა შესაძლებელი იყოს კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება და მონიტორინგი.**	
სახელმწიფო ენა	**კურიკულუმებში სასწავლო რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად დასახელებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომები ელექტრონული რესურსები და მხატვრული ტექსტები: რაც ხელს უწყობს შესასწავლი თემების, ტექსტების, საკითხების, შუალედური და გრძელვადიან სასწავლო მიზნების გააზრებასა და განხორციელებას.** **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და და დოკუმენტებში ასახულია სხვადასხვა რესურსები, ძირითადად სახელმძღვანელო და სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. თუმცა ინტერნეტის პრობლემის გამო სრულად ვერ ხდება ამრესურსების ათვისება. როგორც ინტერვიუს დროს ისაუბრეს პედაგოგებმა მთავარი რესურსი არის სახელმძღვანელო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები(მათ შორის ტელესკოლა)რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ითვალისწინებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას **ინდიკატორი შესაბამისია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით და სასკოლო სასწავლო გეგმით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია რესურების შერჩევის წესი, ხოლო რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის დონეზე. უცხო ენის კათედრის მასწავლებლები, ძირითად რესურსთან ერთად, არჩევენ კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო დამხმარე-ელექტრონულ რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმით. თუცა სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; კათედრის სხდომის ოქმს, უნდა ერთვოდეს დანართი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება შერჩეული რესურსები. **რჩევა** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის	

	სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; სასურველია კათედრის სხდომის ოქმსერთვოდეს დანართი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება შერჩეული რესურსები, მათ შორის ელექტრონული.	
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროცესის საჭიროებების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და თემატური კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ შერჩევას. ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***	
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრათა სხდომებზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. ზემოთნახსენები ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	სკოლაშიგამოიყენება როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შფსების სისტემა შემუშავებულია და გააზრებულია სასკოლოსაზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**	

ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. შესაბამისიდ რესირსები არის ვალიდური. **რჩევა:** სასურველია, რომ ბუნების კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების გვერდები და დამხმარე ინერნეტ-რესურსების მოქმედი ლინკები .	

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა შესაბამის რესურსებზე **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულიმის განხორციელებისთვის აუცილებელი როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსები. თითოეულ მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია და კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს უფროსის/წამყვანის სტატუსი. სკოლა ძირითად რესურსებს იღებს სამინისტორსგან, შესაბამისად ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს ინტერენეტი, კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებს მიაწოდებენ დამატებით ელექტრონულ რესურსებს. **სკოლა აკმაყოფილებს მოცემული ინდიკატორის მოთხვნას.**	
ესთეტიკური აღზრდა	**სკოლამ უზრუნველყო მუსიკის საგნის სწავლებისთვის საჭირო მოსასმენი ტექნიკური საშუალების ხელმისაწვდომობა. სასწავლო პროცესში გამოიყენება აუდიოსისტემა, რომელიც იძლევა მუსიკალური ნაწარმოებების, ჩანაწერებისა და სხვა აუდიორესურსების მოსმენის შესაძლებლობას. აღნიშნული**	

	რესურსი ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად უზრუნველყოს ვიდეომასალის ჩვენებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობაც, რაც გააფართოებს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს ისეთი თემების სრულფასოვან შესწავლას, როგორიცაა „მუსიკა მუნჯ კინოში“, „მუსიკა ხმოვან კინოში“ და სხვა ვიზუალურ-მუსიკალური მასალის ანალიზზე დაფუძნებული საკითხები.**	
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**	
მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება	

	ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. თუმცა ინტერნეტის პრობლემების გამო უჭირთ ამ რესურსების სრულყოფილად ათვისება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
სპორტი	სასწავლო შედეგების მიღწევა, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ზოგადად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, თუმცა სპორტული ინვენტარის სიმცირე და გარე სპორტული მოედნის შეზღუდული შესაძლებლობები ზოგიერთ აქტივობაში აფერხებს სრულყოფილ განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას გააჩნია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. პედაგოგების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციებთან, რაც დადასტურებულია როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს არ აქვს დადასტურებული კომპეტენცია, რომელიც უსტატუსი მასწავლებლის სტატუსით არიან დასაქმებული. 2026- 2027 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს ყველა ამ პოზიციაზე გამოაცხადოს ვაკანსია. თუმცა მთლიანობაში სკოლა უზრუნველყოფს პროფესიონალი პედაგოგებით და სხვა საჭირო კადრებით დაკომპლექტებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისი პროცედურების დაცვით მოახდინოს კვალიფიციური კადრის შერჩევა.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის ჩეკლისტი;
6. სკოლის დირექტორის ბრძანება დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის ჩეკლისტი დამტკიცების შესახებ;
7. საფეხურის კურიკულუმი.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის პოლიტიკის შიდასასკოლო დოკუმენტი და ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნი ბრძანება. როგორც ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კურიკულუმის მეთოდოლოგიისა ხარისხის პოლოტიკის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება. სკოლაში ვიზიტის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დირექცია სისტემატიურად ატარებს გაკვეთილების მონიტორინგს და შეფასებას. ასევე პედაგოგები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას კათედრებზე, წარადგენენ ანგარიშებს და ითვალისწინებენ კოლეგების აზრს. სასწავლო წლის ბოლოს ისინი პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარმოადგენენ მთელი წლის მუშაობის შედეგებს უკუკავშირის მიღების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

პედაგოგებთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისა და შედეგების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს ერთ-ერთ მექანიზმს გამოწვევებთან გამკლავებისა და პრობლემების გადაჭრისთვის. სკოლაში ნაწილობრივ ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიზუსტესა და გამჭვირვალობას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან, რათა გამოიკვეთოს მოსწავლეების ინტერესები, ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების შეგროვება და ანალიზი განმავითარებელი შეფასების

ინსტრუმენტების გამოყენებით საშუალებას აძლევს სკოლას შექმნას სრულყოფილი წარმოდგენა თითოეული მოსწავლის შესახებ და მორგებული გადაწყვეტილებები მიიღოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ საგაკვეთილო პროცესზე განხორციელებული დაკვირვების საფუძველზე მიღებული უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გასამყარებლად. კათედრის წევრები ურთიერთდასწრებისას გასცემენ რეკომენდაციებს, უზიარებენ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებას. სკოლაში მონიტორინგისა და შეფასებისთვის განკუთვნილი აქტივობები, როგორიცაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზი, ატარებს თანამშრომლობით ხასიათს და მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაარკვიონ, რამდენად ეფექტურია დაგეგმილი აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევის მხრივ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. საფეხურის კურიკულუმი;
3. კურიკულუმის მეთოდოლოგია;
4. ხარისხის განვითარებისა დებულება;
5. სკოლის დირექტორის ბრძანება ხარისხის განვითარების დებულების დამტკიცების შესახებ;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ვიზიტის პტოცესში გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სხვადასხვა ხერხით: მოსწავლეთა ნაშრომები, შემაჯამებლები, ტესტები, პროექტები, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალება. ეს აქტივობები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლთა მუდმივ განვითარებაზე. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, რაც განიხილება კათედრებზე და არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება.

პედაგოგები ავითარებენ სხვადასხვა შეფასების ფორმებს – განმავითარებელ, თვითშეფასების რუბრიკებს. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით განსაზღვრავენ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეებს, პროგრესს და მის მიმართ შემდგომ ნაბიჯებს. სასწავლო პროცესის მთავარი შემფასებლები არიან მოსწავლეები და მშობლები. მასწავლებელთა შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება მიღწეული შედეგები, პრობლემები და სამომავლო გეგმები, რაც აძლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასების დროს სკოლა ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა კონტექსტებზე. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობებს. მოსწავლეების შეფასება ხორციელდება მასწავლებელთა უკაკავშირების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, ამის შესახება მუდმივად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებელებისგან. სკოლა აქტიურად იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასების დროს იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლის საშუალებითაც ვიგებთ ინფორმაციას მოსწავლის, მშობლის და მასწავლებელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ამისათვის სკოლა იყენებს ინტერვიუს, დაკვირვების მეთოდს, ფოკუს ჯგუფს, მოსწავლეთა კითხვარს და სხვას. მონაცემთა შეგროვება იძლევა საშუალებას შევაფასოთ სასწავლო პროცესი ობიექტურად ისე, რომ მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი საინტერესო და სახალისო გავხადოთ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის გარემოება თუ ფაქტორი, რომელიც იყო ხელისშემშლელი ან პირიქით, ხელისშემწყობია სწავლა-სწავლების პროცესში. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები ;
2. ხარისხის განვითარების პოლიტიკის დებულება;
3. სკოლის დირექტორის ბრძანება ხარისხის განვითარების პოლიტიკის დებულების დამტკიცების შესახებ;
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
6. საფეხურის კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი დინამიურია და ემყარება სემესტრისა და სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას. მონიტორინგის მექანიზმები და შემაჯამებელი ანალიტიკური ინსტრუმენტები (სადიაგნოსტიკო წერები, შემოქმედებითი დავალებები და სხვა) უზრუნველყოფს კურიკულუმის სისტემურ გადახედვასა და გაუმჯობესებას. გასაუბრებისას აღნიშნული იქნა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოხდება კათედრებზე შეჯამება, პრობლემების გამოკვეთა, მის სფუძველზე საჭიროებათა დადგენა და კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში კურიკულუმის გადამუშავების პროცესი სისტემურია და ემყარება დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგის შედეგებსა და მოსწავლეთა უკუკავშირს. საგნობრივ კათედრებში თანამშრომლური განხილვები, გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების ფორმულირება ქმნის მყარ საფუძველს კურიკულუმის რევიზიისთვის. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით 2026 – 2027 სასწავლო წლის დაწყებისას კათედრაზე განხილული, შეთანხმებული და შემუშავებული კურიკულუმის ახალი ვერსია, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კურიკულუმის მეთოდოლოგია;
2. საფეხურის კურიკულუმი;
3. კათედრის სხდომის ოქმი;
4. მშობელთა კრების ოქმი;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი; 01 .06. 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია

ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ლანა კუჭავა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

მალხაზ შატბერაშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზურაბ ურიადმყოფელი უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნიკოლოზ ჩუბინიძეე სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ლატარია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ტაბუცაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი